გახსენება

ნოდარ ბარამიძე

ჭეშმარიტი სახალხო ხელმძღვანელი
(დავით მამულაძის დაბადების 115 წლისთავისათვის)



დავით მამულაძეს მე სიძედ ვეკუთვნოდი და, ბუნებრივია, გარკვეული ურთიერთობა მქონდა მის ოჯახთან და, შესაბამისად, მასთანაც. ამან. ცხადია, ბევრად შეავსო და განსაზღვრა კიდეც მისი პიროვნების ჩემეული აღქმა.

ბატონ დავითს პირველად შევხვდი 1970 წლის აგვისტოში, მისი დისშვილისა და ჩემი ნიშნობის დღეს. ეს თავისთავად განსაკუთრებული დღე ადამიანის ცხოვრებაში, ჩემთვის კიდევ უფრო ღირსახსოვარი გახადა იმან, რომ ჩვენს სიხარულს იზიარებდა იქვე მყოფი დავით მამულაძე, რომელიც, ცხადია, თავკაცობდა მაგიდასაც. მე დღესაც კარგად მახსოვს მისი ბრძნული, საქმიანი, მოზომილი იუმორით შეზავებული სადღეგრძელოები, ცხოვრებისეულ განაწესად რომ აღიქმებოდა ყველას მიერ.

საყოველთაო აღიარებით, ბატონი დავითი იყო ჭეშმარიტი სახალხო ხელმძღვანელი, რომლის ურყევი ავტორიტეტი მომდინარეობდა არა მაღალი სამსახურეობრივი სტატუსიდან, არამედ, მშრომელი ადამიანებიდან. ამ ავტორიტეტს ქმნიდა მისი პიროვნული და საქმიანი თვისებები, უპირველესად კი ხალხურობა, ხალხთან პირადი ურთიერთობის ბუნებრივი სურვილი და ასეთი ურთიერთობის იშვიათი უნარი. შემთხვევითი არაა, რომ დავით მამულაძე იყო აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი ადგილობრივი ხელმძღვანელი. მანამდე ამ თანამდებობაზე არ უმუშავია აჭარელ კაცს. მე მომისმენია აჭარის ერთ-ერთი ძველი ხელმძღვანელი მუშაკის, ბატონ დავითის მეგობრის, ისმაილ ფუტკარაძის ასეთი სიტყვები: „პარტიამ სცადა და დავითმაც გაამართლა ეს მაღალი ნდობა. დავითის შემდეგ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ადგილობრივი კადრების დაწინაურება საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე“.

როგორც ვხედავთ, დავით მამულაძის მუშაობას საოლქო კომიტეტში ჰქონდა როგორც ხილული, ისე უხილავი დატვირთვაც და მან შესანიშნავად გაართვა ყველაფერს თავი, ხელისუფლებას ააცდინა არცთუ გამართლებული საკადრო გადაწ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ყვეტილებები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით (და არა მხოლოდ) მან ერთგვარი რეაბილიტაცია გაუკეთა აჭარის მოსახლეობას.

საგულისხმოა, რომ ბატონი დავითი პენსიაზე გასვლის შემდეგაც ხალხის აქტიურ მსახურად დარჩა. იგი ცოდნის ხაზით კითხულობდა ლექციებს აუდიტორიაში თუ ღია ცის ქვეშ შეკრებილ ადამიანებთან, რასაც ასეთი რანგის ხელმძღვანელებში იშვიათად თუ მოეპოვება ანალოგი. მან დაარღვია იმ დროისათვის დამკვიდრებული ცხოვრების წესი, სხვებივით სახლში როდი ჩაიკეტა. იგი ხალხთან იყო ჩვეულებრივ მშვიდ სამუშაო ვითარებაშიც და კრიტიკულ სიტუაციაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია 1956 წლის მარტის მღელვარე დღეები ბათუმში, როდესაც დ. მამულაძის გონიერებამ, სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და ხალხში ყოფნამ ხიფათს ააცდინა ბათუმელი სტუდენტები. ამის შესახებ კარგად მოგვითხრობს ამ მოვლენების აქტიური მონაწილე და ორგინაზატორთაგანი – პროფ. იური ბიბილეიშვილი თავის წიგნში – „საქართველოსათვის“ (ბათუმი, 2011).

მახსენდება ერთ-ერთი შეხვედრისას, საუბრის კონტექსტიდან გამომდინარე, ასეთი კითხვა დავუსვი მას: ბატონო დავით, რას გრძნობდით, რას განიცდიდით მაშინ, როდესაც საზეიმო ცერემონიალების, თუ დღესასწაულების დროს მთავრობის ტრიბუნაზე იდექით და, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალი, მიესალმებოდით მოზეიმე ხალხს, დემონსტრანტებს, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, მომღიმარი სახეებით, მხნედ ჩაივლიდნენ ხოლმე ტრიბუნებთან და ერთგვარ ანგარიშს აბარებდნენ აჭარის ხელისუფლებას? „ეს მართლაც ფსიქოლოგიური შეკითხვაა“ – ღიმილით დაიწყო ბატონმა დავითმა. ვგრძნობდი უდიდეს პასუხისმგებლობას ამ ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ერთი წუთითაც არ მავიწყდებოდა რომ მე ამ ხალხის შვილი ვარ, აქაც არ მასვენებდა აზრი და ფიქრი იმის შეახებ, რაიმე ხომ არ დავაკელი ამ ალალ-მართალ ადამიანებს, ყველაფერი გავაკეთე თუ არა მათთვის. რა თქმა უნდა, ზეიმი და ასეთი სიტუაციები გიხარია კაცს, იწვევს შენში ამაღლებულ განწყობილებას, მაგრამ ამასთანავე იგი თვითანგარიშადაც განიცდება“. ასეთი პასუხი მივიღე ბატონი დავითისაგან. მივაქციოთ ყურადღება, ხალხზე ზრუნვა და მუდმივი, თანამდევი კითხვა – „რაიმე ხომ არ დავაკელით მშრომელ ადამიანებს?“ წითელი ზოლივით გასდევდა დავით მამულაძის მთელ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ეს მისი პიროვნების საყოველთაოდ აღიარებული თვისება იყო.

ამ მიმართებით მახსენდება კიდევ ერთი ასეთი ეპიზოდი: ბათუმში, ავეჯის ერთ-ერთ სახელოსნოში შესულმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად შევნიშნე იქვე მყოფი ბატონი დავითი, რომელიც რაღაცას ეუბნებოდა ხელოსანს. როგორც შევატყვე, ხელოსანი არ იცნობდა ბატონ დავითს და მის წინადადებაზე თავს იკავებდა. მიახლოებამდე ბატონმა დავითმაც შემამჩნია და გულთბილად მომესალმა. მეც მორიდებით მოვიკითხე, – რით შემიძლია გემსახუროთ-თქო ვკითხე. გაეღიმა და მითხრა: „არ ვიცი, რამდენად გამართლებულია სიძის შეწუხება, მაგრამ თუ მანქანით ხართ, მინდოდა ეს ახალგაზრდა კაცი აქვე ახლოს, სოფელ განთიად-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ში წამეყვანა ავეჯის შესამოწმებლად, შემდეგ კი შესაკეთებლადაც. თუმცა, მგონი, ეზარება ამ ყმაწვილს წამოსვლა. წამოვა, როგორ არ წამოვა, ბატონო დავით, ვუთხარი მე, თქვენ მანქანაში დაბრძანდით და ჩვენც ახლავე გამოვალთ. ამ სიტყვებით მივაცილე იგი მანქანამდე. სახელოსნოში მიბრუნებულმა სასწრაფოდ ავუხსენი ოსტატს, ვინ იყო ეს პიროვნება. მას თვალები გაუფართოვდა, მართლაო? – მკითხა. ამ, დონის კაცი ჩემთან არასოდეს შემოსულა. მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ მის შესახებ ბევრი კარგი მსმენიაო. დაუყოვნებლივ გამოვედით სახელოსნოდან, ჩავსხედით მანქანაში და წავედით სოფ. განთიადში, ბატონ დავითის პატარა, ე.წ. სააგარაკო ბინაში. ბატონმა დავითმა ხელოსანს აჩვენა თავისი შელანძღული ავეჯი, რომელიც გათბობის სისტემიდან გამოსულ წყალსა და ორთქლს გაეფუჭებინა და ჰკითხა – ამის შეკეთება თუ შეიძლებაო. მოხელემ გულდასმით შეათვალიერა ავეჯი და უარის ნიშნად თავი გააქნია. რას ვიზამთ, თქვა ბატონმა დავითმა, ერთ ხანს ამ მდგომარეობაშიც გვემსახურება ეს კარადები და შემდეგ ვნახოთ. იმ დღეს ბატონი დავითი მარტო იყო სახლში. ყავას მოგიდუღებთო, გვითხრა ღიმილით, მე ეს შემიძლია, არ მოგერიდოთო. ჩვენ, ცხადია, უარი ვუთხარით და მოვბრუნდით ბათუმისაკენ.

გზაში ხელოსანი მეუბნება: „საკუთარი თვალებით რომ არ მენახა, ვერ დავიჯერებდი. ყოფილი საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს თუ ავეჯის პრობლემა ექნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. საოლქოსი კი არა, რაიკომის მდივანზეც რომ არაფერი ვთქვათ, წარმოების ხელმძღვანელებიც კი უპრობლემოდ იცვლიან ავეჯს. როგორი პატიოსანი კაცო ყოფილა ეს დალოცვილი, როგორი სიმართლით უცხოვრია და უშრომია“. ცხადია, ვერაფერს დავუმატებდი თანამგზავრის ნათქვამს.

ბატონ დავითის ოჯახს საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ზოგიერთი ხელმძღვანელისაგან განსხვავებით, ბატონ დავითს უყვარდა კითხვა, მან კარგად იცოდა წიგნისა და მეცნიერების ფასი. შემთხვევითი არაა, რომ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნა (1958 წ.) მნიშვნელოვანწილად მის მონდომება-მეცადინეობასთან, ე.ი. მის სახელთანაცაა დაკავშირებული.

ერუდიცია ნა ნაკითხობა კარგად იგრძნობა დავით მამულაძის მემუარულ წიგნში „რწმენით განვლილი გზა“, რომელსაც ავტორი იწყებს ისეთი გლობალური პრობლემის დასმითა და შეფასებით, როგორიცაა კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქებისა და პერიოდების გამოყოფა და საზოგადოების განვითარებისათვის მათი როლის ჩვენება.

ეს წიგნი სხვა მხრივაცაა საყურადღებო. ჩემი ზოგადი და პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე წამიკითხავს არაერთი მემუარული ნაშრომი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ დავით მამულაძის ეს წიგნი თავისი პათოსითა და მიზანდასახულობით არსებითად განსხვავდება მათგან. მემუარების უმრავლესობა გარეშე მაყურებლის თვალით იკითხება ავტორის ეგოცენტრული პოზიციის, საკუთარ პერსონაზე აქცენტირების გამო ცივად, ერთგვარი ეჭვის თვალით აღიქმება. დავით მამულაძის მემუარებში აღწერილ მოვლენებში კი თვით მკითხველია ჩართული,

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მკითხველიც მოქმედებს, ხოლო მონათხრობის სტილი, ობიექტურობა და სამართლიანობა იმთავითვე განსაზღვრავს ნაშრომისადმი ნდობის მაღალ ხარისხს.

ბევრი მემუარი ავტორის წარმოჩენისა და განდიდების მიზნითაა დაწერილი. ეს აშკარად იგრძნობა მათში. ამას ვერ ასცდა, მაგალითად, გამარჯვებული მარშალი ჟუკოვიც. დავით მამულაძის მემუარულ წიგნში არაფერია მსგავსი. როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე ხალხზე ზრუნავდა, ხალხში ტრიალებდა, სხვების წარმოჩენაზე ფიქრობდა, აქაც მისი თანამებრძოლები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებია წარმოჩენილი, პირუთვნელად და ობიექტურად დახასიათებული, მემუარების ავტორი კი ერთგვარად ჩრდილშია მოქცეული. ესეც ბატონი დავითი პიროვნების ლამაზი თვისებათაგანია, მისი მოკრძალებისა და კეთილშობილების მაჩვენებელია.

დასასრულს, მინდა გავიხსენო დავით მამულაძის მეუღლის, ქალბატონ თამარის ერთი ნაამბობი, ერთი პატარა ეპიზოდი მათი ცხოვრებიდან, რომლის გახსენებაც ძალიან ახალისებდა ხოლმე ბატონ დავითს.

უცხოეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ყოფნისას, სტუმრებისათვის დაგეგმილი ბანკეტი გაუმართავთ, რომელიც საკმაოდ ხალხმრავალი ყოფილა. მორიგი სადღეგრძელოს წინ მაგიდის რომელიღაც წევრს დაუჩემებია, კრებულის გასამხიარულებლად ვიღაცამ იმღეროსო. ცხადია, ყველას თავი შეუკავებია ამ, ერთგვარად ახირებულ მოთხოვნაზე. მაშინ წინადადების ავტორს ასეთი პიროვნების გამოსავლენად მოუწყვია თავისებური კენჭისყრა. „მოხდა ისე, ჰყვება ქალბატონი თამარი, რომ კენჭი მოუწია დავითს, რომელსაც ამ სფეროში, ასე სახალხოდ მაინც, მე რაც მახსოვს, არასდროს გამოუვლენია თავი. მდგომარეობა რომ შემემსუბუქებინა და მეც განვრიდებოდი უხერხულობას, სასწრაფოდ გავედი საბანკეტო დარბაზიდან და „კულისებიდან“ დავიწყე ცქერა. დავითმა კი მშვიდად დაიწყო – „თავო ჩემი, ბედი არ გიწერია...“ და წაიმღერა ნაწყვეტი ცნობილი არიიდან. ეს ისე მოხდენილად გამოუვიდა, რომ დარბაზის ერთსულოვანი ტაში დაიმსახურა“. ვფიქრობ, ლამაზი შტრიხია დ. მამულაძის პორტრეტისათვის.

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, ბლეზ პასკალი ამბობდა: როგორი სიმდიდრის მფლობელიც არ უნდა იყოს ადამიანი, როგორი ჯანმრთელობითა და სილამაზითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული, იგი მაინც არ იქნება კმაყოფილი და ბედნიერი, თუკი არ სარგებლობს სხვა ადამიანების, საზოგადოების აღიარება-პატივისცემა-მოწონებით. დავით მამულაძე, ამ თვალსაზრისით უბედნიერესი ადამიანი იყო, ვინაიდან სიცოცხლეშიც ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა და გარდაცვალებიდან ათეული წლების შემდეგაც ასეთივე სიყვარულითა და აღიარებით სარგებლობს.

მადლობა უნდა ვუთხრათ აჭარის საარქივო სამმართველოს, პროფ. თამაზ ფუტკარაძის ამ, მრავალმხრივ საჭირო და საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისათვის.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026